

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #007/14<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

*სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)*

### **შეკითხვა:**

სასამართლო პროცესზე ადვოკატმა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გამჟღავნა ის ინფორმაცია, რომლის არ თქმის შესახებაც კლიენტს წინასწარ არაფერი უთქვამს, თუმცა ადვოკატისათვის ცნობილი იყო რომ კლიენტს ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ სურდა. აღნიშნულმა პროცესი კლიენტის სასარგებლოდ წარმართა. სწორად მოიქცა ადვოკატი?

### **ანალიზი:**

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტითა და აპეკ-ის 4.1 მუხლით ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ხოლო აპეკ-ის მე-5 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

ეთიკის კოდექსი, როგორც კლიენტზე ორიენტირებული მოდელი, იცავს კლიენტის ინტერესების უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობას. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ სხვა წყაროდან რაიმე ინფორმაციის შეტყობა, მათ შორის ისეთის, რომლის გამოყენებაც არ სურს კლიენტს, ადვოკატს ავალდებულებს ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიისა (კონფიდენციალურობა) და მათ შორის არსებული განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე, კლიენტს აცნობოს ამგვარი ინფორმაციის შეტყობის შესახებ, ხოლო ინფორმაციის (მისი ნაწილის) გამოყენების საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს კლიენტთან. ამ უკანასკნელისათვის ინფორმაციის სათანადოდ განმარტებისა და სამართლებრივი რისკების ადვოკატ-კლიენტის მიერ ერთობლივი შეფასების საფუძველზე, გადაწყვეტილებას მიიღებს კლიენტი. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება, რომელიც კლიენტის საქმეს უკავშირდება. ეთიკური ვალდებულებები მაღალ სტანდარტს ითხოვს ადვოკატისაგან და კონკრეტული ქმედების განხორციელებისას, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკური ვალდებულების შესრულება არ შეფასდება მხოლოდ ადვოკატის ქმედების შედეგად დამდგარი შედეგის მიხედვით.

ადვოკატის მხრიდან მსგავსი სახის ქმედება გამოიწვევს არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის, არამედ საზოგადოების მხრიდან ადვოკატის პროფესიისადმი უნდობლობას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

### **დასკვნა:**

ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეუთანხმებლად არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს პირადად არ აუკრძალავს, თუნდაც ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან იყოს მოპოვებული და ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტის ინტერესებს ემსახურება. ადვოკატმა ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია უპირველესად

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c7fba6ea388e.pdf/26%20September%202014%20007.14.pdf>

კლიენტს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს მას, რადგან კლიენტი ენდობა ადვოკატს და მის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მაღალ სტანდარტს.